ქმ.

ხელშეკრულება № 62

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

გამარტივებული შესყიდვა
(საქონლის შესყიდვა)

ზესტაფონი 01/მაისი/2018 წელი

ერთის მხრივ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერია წარმოდგენილი მერის კახაბერ მახათაძის სახით (შემდგომში _ შემსყიდველი) (მისამართი: ქ. ზესტაფონი წერეთლის ქ. N 11) და მეორეს მხრივ ი/მ ,,ლილი მჭედლიძე" (მისამართი: ქ.ზესტაფონი, აღმაშენებლის ქ. N7 შემდგომში - მიმწოდებელი) კმოქმედებთ რა, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მათი გათვალისწინებით, საქართველოს კანონის ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის 24/04/2018 წლის N954-43 და 01/05/2018 წ. N1002-43 მოხსენებითი ბარათების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე

მუხლი 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

წინამდებარე ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში -,,ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. ,,ხელშეკრულების საერთო ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. ,,დღე", ,,კვირა", ,,თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. ,,შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. ,,მიმწოდებელი"- პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მოწოდებას წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. ,,საქონელი" - წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით საქონლის შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად კლასიფიკატორის კოდით: **22100000** მონეტარული ზღვრების დაცვით.

მუხლი 3. შესყიდვის ობიექტი

3.1. შესყიდვის ობიექტია – საქონლის შესყიდვა, კერძოდ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების აღსაზრდელებისათვის 2018 წლის 10 მაისს დაგეგმილი ღონისძიებისათვის ,,რა შეუძლია ჩემს პატარა ხელებს" სასაჩუქრედ წიგნების შესყიდვა ცხრილი N1–ის შესაბამისად:

ცხრილი N1

N	დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	ჯამი (ლარი)
1.	წიგნი ,,ვისწავლოთ ხატვა"	ცალი	15	16 ლარი	240 ლარი

მუხლი 4. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

4.1. საქონლის შესყიდვის ფასი განისაზღვრება ლარებში.

4.2. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის შესყიდვის საერთო ღირებულება შეადგენს - 240 ლარს.

შემსყიდველი

MUNICIPALITY OF ZESTAFONI CITY HALL 230087045

მიმწოდებელი

4.3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობები

5.1. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს საქონლის მიღება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით.

ბ) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

გ) მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების კეთილსინდისიერი შესრულება.

დ) მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

5.2. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

ბ) მიმწოდებლის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მოსთხოვს მიმწოდებელ ნაკლის აღმოფხვრა.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) მიაწოდოს წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლის „3.1" პუნქტით გათვალისწინებული საქონელი შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს წერილობითი მოტივირებული პასუხი ყველა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საკითხზე;

გ) კეთილსინდისიერად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

5.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

მუხლი 6. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

6.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ მიწოდებული საქონლის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

6.2. მიწოდებული საქონელი უნდა იყოს უდეფექტო, თუ გამოვლენილი იქნება წუნი (ხარვეზი), მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას საკუთარი ხარჯებით (ტრანსპორტირების ჩათვლით) უზრუნველყოს აღნიშნული წუნის (ხარვეზი) აღმოფხვრა (საქონლის ახლით შეცვლა) დაუყონებლივ შემსყიდველის მოთხოვნისთანავე

მუხლი 7. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

7.1. საქონლის მიწოდების ვადა განისაზღვრება მხარეთა მიერ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის დღიდან 2018 წლის 10 მაისის ჩათვლით.

7.2. საქონლის მიწოდების ადგილი – ზესტაფონი, წერეთლი ქ. N 11.

მუხლი 8 . ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, როგორც საქონლის მიწოდების დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

8.2. ინსპექტირებას განახორციელებენ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 5 მარტის N 43 258 ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი.

მუხლი 9. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

9.1. საქონლის მიღება-ჩაბარება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელი ფორმდება წერილობითი ფორმით და დასტურდება მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელისმოწერით, ინსპექტირების განმახორციელებელი ჯგუფის დასკვნისა და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადების საფუძველზე.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

მუხლი 10. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები)

10.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში – ლარებში.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

10.3. ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად მოწოდებული საქონლის მიღება ჩაბარებისა და სასაქონლო ზედნადების წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება და ცვლილებ(ებ)ის შეტანა

11.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ, მაგრამ სამუშაოს ან/და მომსახურების შესრულების ან/და საქონლის მიწოდების ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 10 დღისა უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, დაუყონებლივ, (10 დღიან ვადაში) უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

11.2. ნებისმიერი შეტყობინება, წერილობითი ფორმით, მხარეთა მიერ ხელმოწერილი უნდა გაეგზავნოს მეორე მხარეს და ჩაბარდეს მისამართზე, რომელიც მითითებულია ხელშეკრულებაში.

11.3. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო, წარმოიშობა ხელშეკრულების პირობ(ებ)ის შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებ(ებ)ის შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია, ამ მუხლის „11.1." პუნქტის შესაბამისად.

11.4. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობითი ფორმით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმოამდგენლების ხელმოწერებით.

11.5. ხელშეკრულების მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი რომელიმე ვალდებულების დარღვევა არ ჩაითვლება ბრალეულ დარღვევად, თუ აღნიშნული ვალდებულების შესრულების მიზნით, განსახორციელებელი ქმედება სავალდებულოდ საჭიროებს რომელიმე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ნებართვის, ლიცენზიის ან თანხმობის გაცემას, მაგრამ ადმინისტრაციული ორგანო არ ახდენს აღნიშნულზე ხელშეკრულების მხარის მოთხოვნის კანონმდებლობით დადგენილ ვადაში განხილვას ან უსაფუძვლოდ უარს ეტყვის ხელშეკრულების მხარეს ნებართვის, ლიცენზიის ან თანხმობის გაცემაზე;

11.6. წინამდებარე მუხლი არ მოიცავს ფორსმაჟორულ გარემოებებს და მათი რეგულირება ხდება სხვა მუხლით."

მუხლი 12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა (ხელშეკრულების შეწყვეტა)

12.1.ხელშეკრულებით განსაზღვული პირობების დარღვევის შემთხვევაში ან ვადის გადაცილების შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ჯამური ღირებულების 0, 02 % ოდენობით.

12.2. წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

12.2.1. ხელშეკრულება ვადამდე ადრე შეიძლება შეწყდეს:

ა) იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3 (სამ) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

ა.ბ)პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

ა.გ.) მიმწოდებელი ვიდრე არ აანაზღაურებს პირგასამტეხლოს, შემსყიდველს უფლება აქვს დააკავოს აღნიშნული თანხა და პირდაპირ მიმართოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

ბ) შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას.

გ) მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

12.3. მიმოწდებული, ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში გადაიხდის ჯარიმას, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის 20(ოცი)%–ის ოდენობით

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2018 წლის 20 ივნისის ჩათვლით.

მუხლი 14. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

14.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 15. დაუძლეველი ძალა (ფორს-მაჟორი)

15.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

15.2. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

მუხლი 16. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

16.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

16.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 17. სხვა პირობები

17.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზიანს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

17.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

17.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 04 (ოთხი) ეგზემპლიარად, რომელსაც აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

17.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

მუხლი 18. მხარეთა იურიდიული მისამართები, რეკვიზიტები, ხელმოწერები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერი	ი/მ „ლილი მჭედლიძე“
კახაბერ მახათაძე	ლილი მჭედლიძე
_____	_____
TRESGE22 სახელმწიფო ხაზინა	სს „საქართველოს ბანკი“
ხაზინის ერთიანი ანგარიში 3001900000	ბანკის კოდი: BAGAGE22
	ა/ა N GE05BG0000000213181500
ს/კოდი: 230087045	ს/კ 18001038057
მის: ზესტაფონი, წერეთლის ქ. № 11	მის: ზესტაფონი, აღმაშენებლის ქ.N7
ტელ: 0(492)252626	ტელ: 593 21 12 83

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

2018 წლის 01 მაისი

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერი და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 05 მარტის N43 258 ბრძანებით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის წევრები ვადასტურებთ, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტის თანახმად, არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში ი/მ „ლილი მჭედლიძე"-თან 240 ლარის ღირებულების საქონლის (წიგნები) შესყიდვასთან დაკავშირებით.

კახაბერ მახათაძე - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერი

1. ერემია სალაძე (სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი)----------
2. ბორის ჭიჭინაძე (სამუშაო ჯგუფის წევრი)----------
3. შმაგი ტაბატაძე (სამუშაო ჯგუფის წევრი)----------
4. ზურაბ სირდაძე (სამუშაო ჯგუფის წევრი)----------
5. თეიმურაზ ფერაძე (სამუშაო ჯგუფი წევრი)----------
6. მაია ხვედელიძე (სამუშაო ჯგუფის დროებითი წევრი)----------

N 1002-43
01/05/2018

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერს,

ბატონ კახაბერ მახათაძეს

ბატონო კახაბერ,

გაცნობებთ #954-43 24.04 2018 წლის მოხსენებით ბარათში ცვლილების შესახებ კერძოდ: განათლების ღონისძიებებში დაგეგმილი აქტივობა ,,რა შეუძლია ჩემს პატარა ხელებს" სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების აღსაზრდელებისათვის, მითითებული 30 აპრილის ნაცვლად ობიექტური მიზეზების გამო (სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების თხოვნა) ჩატარდება 10 მაისს.

მაია ხვედელიძე

მ. ხვედელიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური

N 954-43
24/04/2018

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერს,

ბატონ კახაბერ მახათაძეს

ბატონო კახაბერ,

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 30 აპრილს ჩვენს სამსახურს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების აღსაზრდელებისათვის დაგეგმილი აქვს კონკურსი ,,რა შეუძლია ჩემს პატარა ხელებს". განათლების ღონისძიების ხარჯში კონკურსში მონაწილე აღსაზდელებისათვის საჩუქრად გათვალისწინებული გვაქვს წიგნები(250 ლარი). საჩუქრის შერჩევის მიზნით ჩატარდა მოკვლევები (თან ერთვის). შეირჩა წიგნი - ,,ვისწავლოთ ხატვა" რაოდენობა 15 ცალი, ერთეულის ღირებულება 16.00 ლარი, სულ 240 ლარი. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ხელშეკრულება 240 ლარის ღირებულების საქონელზე (წიგნები) გაფორმდეს ი/მ ,,ლილი მჭედლიძესთან", რადგან მან შედარებით დაბალი ფასი შემოგვთავაზა.

ი/მ ,,ლილი მჭედლიძე"

ს/კოდი 18001038057

საქართველოს ბანკი ბანკის კოდი BAGAGE22

ან#GE05BG0000000213181500

ტელ: 593 21 12 83

თანხის გახარჯვა უნდა მოხდეს განათლების ღონისძიებების ხარჯიდან CPV კოდი 22100000 (წიგნები). საბიუჯეტო კოდი 22 10 12.

მაია ხვედელიძე

მ. ხვედელიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური

მოვალეობის ფურცელი #

მომწოდებელი: ი/მ [illegible]

საიდენტიფიკაციო კოდი: 12001038057 მისამართი: ზესტაფონი [illegible] ქ 7.

ბანკის დასახელება: [illegible] ბანკის კოდი: BAGAGE22

ბანკის ანგარიში # GE05BG0000000213181500 ტელ: 5-93-21-12-83.

შემსყიდველი: ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერია

საიდენტიფიკაციო კოდი: 230087045 მისამართი: ქ.ზესტაფონი, წერეთლის ქ. #11

სახელმწიფო ხაზინა - TRESGE 22

ხაზინის ერთიანი ანგარიში 3001900000 ტელ(0492)25 26 26

#	მასალების დასახელება	ზომის ერთ.	რაოდენობა	ერთ.ფასი (ლარი)	თანხა სულ (ლარი)	შენიშვნა
1.	ვისწავლოთ ხედვა	ც	15	16-00	240=	
2.						

თანხა სიტყვიერად: [illegible] თარიღი: 24.04.18.

დირექტორი: [illegible] მუდალტერი:

მოკვლევის ფურცელი #

მომწოდებელი ი/მ ია ბობასქირძე

საიდენტიფიკაციო კოდი 18001038053 მისამართი ზესტაფონი აღმაშენებლის 7

ბანკის დასახელება: საქართველოს ბანკი ბანკის კოდი: BAGAGE 22

ბანკის ანგარიში # GE 89BG0000000150769800 ტელ: 5-57-57-40-04

შემსყიდველი: ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერია

საიდენტიფიკაციო კოდი: 230087045 მისამართი: ქ.ზესტაფონი, წერეთლის ქ. #11

სახელმწიფო ხაზინა - TRESGE 22

ხაზინის ერთიანი ანგარიში 3001900000 ტელ(0492)25 26 26

#	მასალების დასახელება	ზომის ერთ.	რაოდენობა	ერთ.ფასი (ლარი)	თანხა სულ (ლარი)	შენიშვნა
1.	ვისნაკეთი ხაფანგი	ც	15	18-0	270-0	
2.						

თანხა სიტყვიერად: ~~ექვსასორმოცდაათი~~ ლარი თარიღი: 24.04.18 წ.

დირექტორი: ბობასქირძე ბუღალტერი:

IA ROBAKIDZE 18001038053

მოკვლევის ფურცელი #

მომწოდებელი: ი/მ ოქრო ჩიბუხდანიძე

საიდენტიფიკაციო კოდი: 18001040939 მისამართი: ზესტაფონი ზეინ სქესის

ბანკის დასახელება: საქართველოს ბანკი ბანკის კოდი: BAGAGE - 22

ბანკის ანგარიში #: GE80BG0000000562394700 ტელ: 5-98-93-95-85

შემსყიდველი: ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერია

საიდენტიფიკაციო კოდი: 230087045 მისამართი: ქ.ზესტაფონი, წერეთლის ქ. #11

სახელმწიფო ხაზინა - TRESGE 22

ხაზინის ერთიანი ანგარიში 3001900000 ტელ(0492)25 26 26

#	მასალების დასახელება	ზომის ერთ.	რაოდენობა	ერთ.ფასი (ლარი)	თანხა სულ (ლარი)	შენიშვნა
1.	ვისნაკლოთ ხაღვა	ც	15	20,0	300,0	
2.						

თანხა სიტყვიერად: ... ოქრო

დირექტორი:

თარიღი: 24.04.2018 წ.

ბუღალტერი: